

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი ჯი-ეფ-სი”
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1-3

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

4

სრული შემოსავლის ანგარიშგება

5

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

6

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

7

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებში

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნების სარჩევი

1. შესავალი	8
2. მომზადების საფუძვლები	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	18
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	20
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
7. კლიენტებზე გაცემული სესხები	21
8. ნასესხები თანხები	22
9. სხვა ვალდებულებები	23
10. წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფაუფასურების რეზერვამდე	23
11. წმინდა საკომისიო შემოსავალი/ (ხარჯი)	23
12. შემოსავალი ჯარიმებიდან	23
13. შემოსავალი / (ზარალი) სავალუტო კონვერტაციებიდან	23
14. პერსონალის ხარჯები	24
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24
16. სხვა ხარჯები	24
17. მოგების გადასახადი	24
18. ფინანსური რისკის მართვა	25
19. დაკავშირებული მხარეები	30
20. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები	31
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ეფ სი“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანია ჯარიმებს აღრიცხავს ვადაგადაცილებული გაცემული სესხების ძირზე ყოველდღიურად. ჯარიმის დარიცხვა ხდება სასესხო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობებიდან გამომდინარე. დარიცხვის კალკულაცია კეთდება სააღრიცხვო პროგრამის გარეშე, მანუალურად. ჩვენ გადავთვალეთ დარიცხული ჯარიმები შერჩეულ სესხებზე კომპანიის პოლიტიკის მიხედვით და გამოვავლინეთ არსებითი უზუსტობები, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება დარიცხული ჯარიმების სისწორეზე მენეჯმენტისგან.

2014 წლის ივლისში, ფასს-მა გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“- საბოლოო ვარიანტი, რომელმაც ჩაანცვლა ბასს 39 - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა აღრიცხოს ფასს 9 სტანდარტის შესაბამისად 2018 წელს დასრულებული წლისთვის. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 9-ის შესაბამისად (შენიშვნა 3), თუმცა ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია იყენებს ფასს 9-ის მოთხოვნებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისთვის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება იმაზე, რომ კომპანიის ფინანსური აქტივების გაუფასურება სწორედ არის დაანგარიშებული ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად.

როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების 2 შენიშვნაში, კომპანიის ზარამლა 2018 წელს შეადგინა 251 ათასი ლარი (2017: 22 ათასი მოგება), ასევე კომპანიის სასესხო პორტფელი არ არის გაზრდილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს. ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმოში. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ადეკვატურად არ არის განმარტებული ეს საკითხი.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის

“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ წლიური ანგარიშგება იქნება ხელმისაწვდომი ამ აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოთ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

მალხაზ უჯმაჯურიძე

თბილისი, საქართველო

2019 წლის 14 ივნისი

ასს-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორ ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება, როგორც ეს ჩვენ დასკვნაშია მოცემული.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოთ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

მალხაზ უჯმაჯურიძე

თბილისი, საქართველო

2019 წლის 14 ივნისი




Closer to you

მისო შპს ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ევ სი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	151	792
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	7	707	727
ძირითადი საშუალებები		1	1
არამატერიალური აქტივები		2	2
წინსაწარ გადახდილი თანხები		1	2
საგადასახადო აქტივი, მოგების		5	4
გადასახადის გარდა			
გადავადებული მოგების გადასახადი		6	-
სხვა აქტივები		5	-
სულ აქტივები		878	1,528
		-	
ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	8	480	1,123
სხვა ვალდებულებები	9	6	12
სულ ვალდებულებები		486	1,135
კაპიტალი			
დამფუძნებლის კაპიტალი		500	250
გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)		(108)	143
სულ კაპიტალი		392	393
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		878	1,528

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

2019 წლის 14 ივნისი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 14 ივნისი
თბილისი, საქართველო

8-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მისო შპს ჯორჯიან ფაინანსიალ კრედიტ-ჯი ევ სი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	151	792
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	7	707	727
ძირითადი საშუალებები		1	1
არამატერიალური აქტივები		2	2
წინსაწარ გადახდილი თანხები		1	2
საგადასახადო აქტივი, მოგების		5	4
გადასახადის გარდა			
გადავადებული მოგების გადასახადი	17	6	-
სხვა აქტივები		5	-
სულ აქტივები		878	1,528
ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	8	480	1,123
სხვა ვალდებულებები	9	6	12
სულ ვალდებულებები		486	1,135
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	500	250
გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)		(108)	143
სულ კაპიტალი		392	393
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		878	1,528

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

2019 წლის 14 ივნისი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 14 ივნისი
თბილისი, საქართველო

8-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მისო შპს ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ევ სი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი		183	259
საპროცენტო ხარჯები		(99)	(179)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების რეზერვამდე	10	84	80
სესხების გაუფასურების რეზერვი	7	(286)	(45)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი			35
შემოსავალი სესხის საკომისიოდან	11	10	14
შემოსავალი ჯარიმებიდან	12	85	81
შემოსავალი / (ზარალი) სავალუტო კონვერტაციებიდან	13	3	(23)
სხვა შემოსავალი		-	1
არასაპროცენტო შემოსავალი		98	73
პერსონალის ხარჯები	14	(74)	(18)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(39)	(40)
ცვეთა და ამორტიზაცია		-	(4)
სხვა ხარჯები	16	(35)	(14)
საოპერაციო ხარჯები		(148)	(76)
მოგება დაბეგვრამდე		(252)	32
მოგების გადასახადი	17	1	(10)
სრული შემოსავალი / (ზარალი)		(251)	22

ხელმძღვანელობის სახელით:

 დირექტორი

 2019 წლის 14 ივნისი
 თბილისი, საქართველო

 მთავარი ბუღალტერი

 2019 წლის 14 ივნისი
 თბილისი, საქართველო

8-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მისო შპს ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ევ სი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი		183	259
საპროცენტო ხარჯები		(99)	(179)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების რეზერვამდე	10	84	80
სესხების გაუფასურების რეზერვი	7	(286)	(45)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი			35
შემოსავალი ჯარიმებიდან	12	85	81
საკომისიო შემოსავალი		10	14
წმინდა შემოსავალი / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	13	3	(23)
სხვა შემოსავალი		-	1
წმინდა შემოსავალი საოპერაციო ხარჯებამდე		98	73
პერსონალის ხარჯები	14	(74)	(18)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(39)	(40)
ცვეთა და ამორტიზაცია		-	(4)
სხვა ხარჯები	16	(35)	(14)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(252)	32
მოგების გადასახადი	17	1	(10)
წლის მოგება / (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი		(251)	22

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

2019 წლის 14 ივნისი
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 14 ივნისი
 თბილისი, საქართველო

8-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მისო შპს ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ეფ სი
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართული ლარში)

	დამფუძნებლის კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)	სულ
დეკემბერი 31, 2016	250	121	371
წლის სრული შემოსავალი	-	22	22
დეკემბერი 31, 2017	250	143	393
კაპიტალში შენატანი	250	-	250
წლის ზარალი	-	(251)	(251)
დეკემბერი 31, 2018	500	(108)	392

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
 2019 წლის 14 ივნისი
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
 2019 წლის 14 ივნისი
 თბილისი, საქართველო

8-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მისო შპს ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ეფ სი
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართული ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 11)	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)	სულ
დეკემბერი 31, 2016	250	121	371
წლის სრული შემოსავალი	-	22	22
დეკემბერი 31, 2017	250	143	393
კაპიტალში შენატანი	250	-	250
წლის ზარალი	-	(251)	(251)
დეკემბერი 31, 2018	500	(108)	392

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

2019 წლის 14 ივნისი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 14 ივნისი
თბილისი, საქართველო

8-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მისო შპს ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ეფ სი
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადებამდე	(252)	32
კორექტირებები:		-
ცვეთა და ამორტიზაცია	-	4
საპროცენტო შემოსავალი	(183)	(259)
აღსრულებიდან შემოსავალი	(34)	-
ჯარიმიდან შემოსავალი	(62)	-
საკომისიო შემოსავალი	(9)	-
საპროცენტო ხარჯი	99	179
გაუფასურების ანარიცხები	286	45
წმინდა სარგებელი / (ზარალი) გაცვლითი კურსის სხვაობიდან	3	23
ფულადი საშუალებების შემოძინება/ (გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	(152)	24
საოპერაციო აქტივებსა და პასივებში ცვლილებებამდე		
მოდრაობა მიმოქცევა კაპიტალში		
შემცირება / (ზრდა) კლიენტებზე გაცემულ სესხებში	(152)	440
შემცირება/ (ზრდა) წინასწარ გადახდილ თანხებში და სხვა აქტივებში	1	1
შემცირება / (ზრდა) საგადასახდო აქტივებში	(6)	2
ზრდა / (შემცირება) ვალდებულებებში	(11)	-
ზრდა / (შემცირება) სხვა ვალდებულებებში	-	7
ფულადი საშუალებების შემოძინება/ (გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტსა და დაბეგვრამდე	(320)	474
მიღებული პროცენტი	177	200
გადახდილი პროცენტი	(241)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(6)	(10)
წმინდა ფულადი საშუალებების შემოძინება/ (გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	(390)	664
ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(1)
წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(1)
ფულადი ნაკადები ფინანსირების საქმიანობიდან		
სესხის მიღება	370	100
ნასესხები საშუალებების დაფარვა	(832)	(213)
ზრდა საწესდებო კაპიტალში	250	-
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ფინანსირების საქმიანობიდან	(212)	(113)
ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა/ (კლება)	(602)	550
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	792	241
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად საშუალებებსა და მის ექვივალენტებზე	(39)	1
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	151	792

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

 2019 წლის 14 ივნისი
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

 2019 წლის 14 ივნისი
 თბილისი, საქართველო

8-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მისო შპს ჯორჯიან ფაინანსიალ კრედიტ-ჯი ეფ სი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადებამდე	(252)	32
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	-	4
საპროცენტო შემოსავალი	(183)	(259)
ჯარიმიდან შემოსავალი	(85)	-
საკომისიო შემოსავალი	(14)	-
საპროცენტო ხარჯი	99	179
გაუფასურების ანარიცხები	286	45
წმინდა სარგებელი / (ზარალი) გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(3)	23
ფულადი საშუალებების შემოძინება/ (გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	(152)	24
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		
მოდრობა მიმოქცევად კაპიტალში		
შემცირება / (ზრდა) კლიენტებზე გაცემულ სესხებში	(152)	440
შემცირება/ (ზრდა) წინასწარ გადახდილ თანხებში და სხვა აქტივებში	1	1
შემცირება / (ზრდა) საგადასახდო აქტივებში	(6)	2
ზრდა / (შემცირება) ვალდებულებებში	(11)	-
ზრდა / (შემცირება) სხვა ვალდებულებებში	-	7
ფულადი საშუალებების შემოძინება/ (გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	(320)	474
პროცენტსა და დაბეგვრამდე		
მიღებული პროცენტი	177	200
გადახდილი პროცენტი	(241)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(6)	(10)
წმინდა ფულადი საშუალებების შემოძინება/ (გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	(390)	664
ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(1)
წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(1)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	370	100
ნასესხები საშუალებების დაფარვა	(832)	(213)
ზრდა საწესდებო კაპიტალში	250	-
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საფინანსო საქმიანობიდან	(212)	(113)
ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა/ (კლება)	(602)	550
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	792	241
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად საშუალებებსა და მის ექვივალენტებზე	(39)	1
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	151	792

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 14 ივნისი
თბილისი, საქართველო

2019 წლის 14 ივნისი
თბილისი, საქართველო

8-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. შესავალი

კორპორატიული ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ - ჯი ეფ სი“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ავტორიზებული იქნა გამოსაცემად სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ - ჯი ეფ სი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართი არის # 2 ცინცადის ქუჩა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მფლობელები არიან იოსი რაიკ (50%), გაი იაკოვ ცადიკ (25%), იუვალ მენახეში ბენერაფ (25%). კომპანიის ყველა მფლობელი არის ისრაელის მოქალაქე.

კომპანიის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი.

კომპანიის საქმიანობაა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და აქვს მხოლოდ ერთი ფილიალი.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს რომ კომპანია შეძლებს თავისი სასესხო ვალდებულებების გადახდას. იმის გათვალისწინებით რომ კომპანიას აქვს სესხები დაკავშირებული მხარისგან, პრობლემის დადგომის შემთხვევაში კომპანია იმედოვნებს სესხის ვადის გადაწევას. კომპანიის გაცემული სესხები ყველა არის უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით, რომელიც მდებარეობს თბილისში და მიჩნეულია რომ არის ლიკვიდური, ამის გათვალისწინებით კომპანია აფასებს თავის პორტფელს როგორც დაბალი რისკის მქონეს. კომპანიის ზარალმა 2018 წელს შეადგინა 251 ლარი (2017: მოგება 22) და კომპანიას კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელი შემცირდა, ეს ფაქტი გამოიწვია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულმა რეგულაციებმა სესხის გაცემაზე. კომპანია ფიქრობს არსებული სიტუაციის მოგვარებას მომგებიანი პროდუქტის შემუშავებით და შეთავაზებით, თუმცა მსგავსი პროდუქტის შესახებ კონკრეტული ბიზნეს გეგმა ჯერ არ არსებობს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ დაუწერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის. თითოეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუწერგავს 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად.

ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები, მსგავსის არსებობის შემთხვევაში, პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალ ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ფინანსური ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომლების იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი რეკლასიფიცირების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-მ, ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა, ჩაანაცვლა საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომამ.

რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. კომპანიის გაუფასურების დარიცხვის მეთოდი განხილულია შენიშვნა 5-ში.

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს, აქედან გამომდინარე, არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, მათ შორის საპროცენტო შემოსავალზე. შედეგად, კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ შეცვლილა სტანდარტის დანერგვის შედეგად.

მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის.

მიმდინარე გადასახადი არის მოგების გადასახადის თანხა, რომელიც გადასახდელია ან უკან დაბრუნებადია დასაბეგრ მოგებასა ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისათვის.

გადავადებული გადასახადის აქტივი ან პასივი აღიარებულია გადასახადისათვის, რომელიც ამოღებადია ან გადასახდელია სამომავლო პერიოდებში, როგორც წარსული გარიგებების ან ღონისძიებების შედეგი. გადავადებული გადასახადი წარმოიშობა სხვაობისგან (ცნობილია, როგორც დროებითი სხვაობა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში მოცემული აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის. აქტივების საგადასახადო ბაზა განისაზღვრება აქტივების გათავისუფლების თანმიმდევრობით.

გადავადებული საგადასახადო პასივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რასაც მოსალოდნელია, რომ გაზრდის მომავალში დასაბეგრ მოგებას, გარდა მათი, რაც დაკავშირებულია ფირმის პრესტიჟთან („გუდივილი“). გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს მომავალში დასაბეგრ მოგებას და ნებისმიერ გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ფასდება უმაღლესი თანხით, რომელიც მეტად მოსალოდნელია, რომ არ იქნება ამოღებული, მიმდინარე ან სამომავლო გეგმიური დასაბეგრი მოგების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საანგარიშო ღირებულება განიხილება ყოველ სააღრიცხვო თარიღზე და რეგულირდება, რათა ასახოს მომავალი დასაბეგრი მოგების ახლანდელი შეფასება. ნებისმიერი რეგულირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, თუ სხვა მთლიანი შემოსავლის პუნქტისათვის არ არის დამხასიათებელი.

გადავადებული გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ტარიფით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება დასაბეგრ მოგებაზე (საგადასახადო ზარალი) იმ პერიოდისათვის, როცა მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივები განთავისუფლდება ან გადავადებული საგადასახადო პასივები დაიფარება, იმ საგადასახადო ტარიფების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ ტანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

კლიენტებზე გაცემული სესხები, საინვესტიციონ ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღრებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად. კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტი

ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტი არის ფული, მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში და ფული მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შემენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები თავისი მფლობელებისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია აფასებდა, ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, არსებობდა თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდებოდა. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებლად მიიჩნეოდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობდა რაიმე მოვლენით (ან მოვლენებით) გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური მტკიცებულება, რომელიც (რომლებიც) დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის შემთხვევა (ან შემთხვევებს) გავლენა ჰქონდა ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა საწრმოვოდ განსაზღვრაც შესაძლებელი იყო. გაუფასურების მტკიცებულება შეიძლება ყოფილიყო იმის ნიშნები, რომ მსესხებელი ან მსესხებელთა ჯგუფი განიცდიდა მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არ იხდიდა ან აგვიანებდა სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდას, არსებობდა გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა. გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების ნიშანი ასევე არის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი შემცირება მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე.

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან კოლექტიურად აფასებდა, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

თუ დადგინდებოდა, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, ხდებოდა ზარალის ოდენობის დაანგარიშება, რაც წარმოადგენდა სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას (ჯერ არ მომხდარი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დადისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისთვის სხვაობას სამართლიან ღირებულებასა და ინვესტიციის ღირებულებას შორის. აქტივის ღირებულება მცირდებოდა და ზარალი აისახებოდა მოგება ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდებოდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვით შემცირებულ ძირზე, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში გამოიყენებოდა გაუფასურების ზარალის ოდენობის დასათვლელად სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

უიმედო აქტივები ჩამოიწერებოდა გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან და ხდებოდა უზრუნველყოფების რეალიზაცია ან კომპანიისათვის გადაცემა. თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდებოდა და ეს შემცირება ობიექტურად უკავშირდებოდა გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდებოდა მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა მოგება ზარალის ანგარიშში, გარდა გასაყიდად არსებული ინვესტიციებისა, რომელთა შემთხვევაშიც სამართლიან ღირებულებაში ზრდა გაუფასურების შემდეგ აღიარდებოდა სხვა სრული შემოსავლის ფარგლებში.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები ჯგუფდებოდა კომპანიის პროდუქტების მონიტორინგის შიდა სისტემის მიხედვით, რაც მოიცავდა საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა აქტივის სახეობა, ინდუსტრია, უზრუნველყოფილი საგნის სახეობა, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა შესაბამისი ფაქტორები.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განისაზღვრა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მექანიზმების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალის გამოცდილება დაკორექტირდა არსებული ემპირიული მონაცემების მიხედვით, რათა აესახა დღევანდელი პირობების ეფექტი, რომელიც არ მოქმედებდა იმ წლებზე, საიდანაც მიღებულია ისტორიული ზარალის გამოცდილება და უგულებელყოფილიყო წინა პერიოდში არსებული იმ პირობების ეფექტი, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავდა და უკავშირდებოდა წლიდან წლამდე შესაბამის ემპირიულ მონაცემებში მომხდარ ცვლილებებს (როგორცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში განცდილი ზარალის ან მისი მასშტაბის განმსაზღვრელი იყო). რეგულარულად ხდებოდა სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირებულიყო სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 5-ში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც

თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ფლობს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება 5 წლით.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს ცალკე საპენსიო სქემა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემის გარდა. კომპანიას არ აქვს გათვალისწინებული საპენსიო შეღავათები.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება დამფუძნებლის მიერ კაპიტალში განხორციელებული შენატანებისგან და დაგროვილი მოგებისგან. მინიმალური კაპიტალის მპოთხოვნებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ), 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამფუძნებლის მიერ შეტანილი კაპიტალის ოდენობა სებ-ის რეგულაციის მიხედვით არის 500 ლარი (31 დეკემბერი, 2017: 250 ლარი).

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კოკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს სავალო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფინანსური აქტივების (გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (2018 წლის 1 იანვრამდე: ფინანსური აქტივების ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის

გამოყენებით). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდილი და მიღებული ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ვადაზე ან, როცა შესაძლებელია, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღირიცხება საპროცენტო შემოსავლად ან ხარჯად. როდესაც ფინანსური აქტივი უფასურდება, კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდა და აღარ არის გაუფასურებული, მაშინ კომპანია უბრუნდება საპროცენტო შემოსავლის გამოთვლას ბრუტოს საფუძველზე. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კომპანია საპროცენტო შემოსავალს გამოითვლის საკრედიტო რისკის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიღებით და ამ განაკვეთის გამოყენებით აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. საკრედიტო რისკის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელით, თავდაპირველი აღიარებისას, ახდენს მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) დისკონტირებას შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ყველა ფინანსური აქტივიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით აღირიცხება „სხვა საპროცენტო შემოსავალში“ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ქონება, ქარხანა და აღჭურვილობა, არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით

გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელს გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044
<i>პერიოდის საშუალო საპროცენტო განაკვეთი</i>	2018	2017
1 USD/GEL	2.5345	2.5086
1 EUR/GEL	2.9913	2.8322

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების

გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანიის იჯარით აქვს აღებული ფილიალები, რომელთაგან ნაწილი გაფორმებულია 1 წელზე მეტი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რამე გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საწარმო ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც საწარმო აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს საწარმო დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ზაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს საწარმო ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

საწარმომ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „სავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

ფასს 9-ის მიხედვით, სავალსო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი. გაუფასურების ზარალის შეფასება როგორც ფასს 9-ის ასევე ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობის და ვადების და უზრუნველყოფილი საგნის ღირებულების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზები ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს რეზერვების სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად კომპანია იყენებს ვადაგადაცილებულ დღეებზე დაფუძნებულ მოდელს, რომელის ეყრდნობა სტორიულ გამოცდილებას, კომპანია ასევე ითვალისწინებს უზრუნველყოფიდან ამოღებად თანხას, რომლითაც ამცირებს რეზერვის მოცულობას. კომპანიას აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგი, რომლის მიხედვითაც სესხები იყოფა ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად და ენიჭება დეფოლტის ალბათობა. კომპანიას არ შეუცვლია გაუფასურების მოდელი წინა წელთან შედარებით.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებოდნენ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

გადასახადები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები უტილიზირებული იქნება. მნიშვნელოვანი მენეჯმენტის გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადავადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები. კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	134	118
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	17	674
სულ	151	792

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები. მოკლევადიანი ხასიათის გამო საბანკო ნაშთებზე რეზერვი არ არის აღიარებული.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

კომპანიის კლიენტებზე გაცემული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
კლიენტებზე სესხად გაცემული თანხები	890	749
დარიცხული პროცენტი	77	14
დარიცხული ჯარიმა	86	24
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,053	787
ამორტიზირებული ღირებულებით		
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(346)	(60)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	707	727

კომპანიას აქვს აღსრულებაზე გადაცემული სესხები, რომლის ნაშთიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 337 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 226 ლარს

კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება შემდეგი კლასების სესხებისგან:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
იპოთეკური სესხები	1,053	787
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(346)	(60)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	707	727

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში შეადგენს:

	2018	2017
1 იანვარი	(60)	(15)
წლის დარიცხვა/უკუბრუნვა	(286)	(45)
31 დეკემბერი	(346)	(60)
კოლექტიურად გაუფასურებული	(28)	(60)
ინდივიდუალურად გაუფასურებული	(258)	-
სულ გაუფასურების რეზერვი	(346)	(60)

მისო ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ევ სი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

კლიენტებზე გაცემული სესხების კრედიტუნარიანობა შემდეგია:

მენეჯმენტი განსაზღვრავს სესხების შესაძლო დანაკარგების ანარიცხს თავის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით. კომპანიის სესხების გაუფასურების ობიექტური განსაზღვრის მექანიზმია ვადაგადაცილებული გადახდები, კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, სესხის უზრუნველყოფა.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს სესხების კრედიტუნარიანობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2018	იპოთეკური სესხები	სულ
მიმდინარე და არა გაუფასურებული სესხები, რომლებიც ერთბლივად განისაზღვრება, რომ გაუფასურდება :	798	798
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	125	125
31-180 დღე ვადაგადაცილება	130	130
	1,053	1,053
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(346)	(346)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	707	707

2017	იპოთეკური სესხები	სულ
მიმდინარე და არა გაუფასურებული სესხები, რომლებიც ერთბლივად განისაზღვრება, რომ გაუფასურდება :	226	226
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	48	48
31-180 დღე ვადაგადაცილება	513	513
	787	787
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(60)	(60)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	727	727

კომპანიას არ აქვს შიდა სესხების რეიტინგის სისტემა, იმისთვის რომ შეაფასოს ვადაგადაცილებული მაგრამ გაუფასურებული სესხები.

უზრუნველყოფა და კრედიტის სხვა დამატებითი გაძლიერება

უზრუნველყოფის სახეობა და ოდენობა დამოკიდებულია სესხის საკრედიტო შეფასებაზე. კომპანიის მიერ მიღებული უზრუნველყოფა არის მხოლოდ უძრავი ქონება. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ყველა გაცემული სესხი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით.

8. ნასესხები თანხები

კომპანიის ნასესხები თანხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2018
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან:		
სესხის ძირითადი თანხა	398	888
დარიცხული პროცენტი	82	235
სულ	480	1,123

მისო ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ეფ სი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ნასესხები თანხები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მიმდინარე, რომლის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 20%-ს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები თანხები კომპანიას აქვს ლარში (395 ლარი) და დოლარში (85 დოლარი), (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 117 ლარი და 1,006 დოლარი)

9. სხვა ვალდებულებები

კომპანიის სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
გადასახდელი ხელფასები	-	4
ვალდებულებები მიღებულ საქონელზე და მომსახურებაზე	6	8
სულ	6	12

10. წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფაუფასურების რეზერვამდე

საპროცენტო შემოსავალი შედგება:	2018	2017
<i>საპროცენტო შემოსავალი ამორტიზირებული ღირებულებით რიცხული ფინანსური აქტივებიდან:</i>		
კლიენტებზე გაცემული სესხები	183	259
სულ	183	259
საპროცენტო ხარჯები შედგება:	2018	2017
<i>საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით რიცხული ფინანსური ვალდებულებებიდან:</i>		
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	(99)	(179)
სულ	(99)	(179)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	84	80

11. წმინდა საკომისიო შემოსავალი/ (ხარჯი)

კომპანიის საკომისიო შემოსავალი წარმოადგენს შემოსავალს სესხების გაცემიდან. საკომისიო შემოსავალი ნაწილდება სესხის მომსახურების სრულ პერიოდზე.

12. შემოსავალი ჯარიმებიდან

კომპანიის შემოსავალი ჯარიმებიდან წარმოადგენს შემოსავალს დარიცხულს ვადაგადაცილებული სესხის ძირზე. ჯარიმები სესხის ვადაგადაცილებულ ძირს ერიცხება ყოველდღიურ საფუძველზე, ჯარიმების დარიცხვა არ ხდება დარიცხულ საპროცენტო ვალდებულებაზე. როდესაც ხდება სესხის გადაცემა აღსრულებაზე ჯარიმის დარიცხვა წყდება.

13. შემოსავალი / (ზარალი) სავალუტო კონვერტაციებიდან

	2018	2017
არარეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	(36)	(22)
რეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	39	(1)
სულ	3	(23)

14. პერსონალის ხარჯები

კომპანიის პერსონალის ხარჯები შედგება:

	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასები	63	17
დირექტორის შრომის ანაზღაურება	11	1
სულ	74	18

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
საკონსულტაციო ხარჯები (ბუღალტრული აუტოსორსი)	22	20
აუდიტის ხარჯი	14	10
ხარჯები ფინანსურ მომსახურებაზე	-	10
სხვა	3	-
სულ	39	40

16. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები შედგება:

	2018	2017
საბანკო ხარჯები	-	4
საბროკერო მომსახურების ხარჯები	-	3
სესხის დაზღვევის ხარჯი	-	3
PR ხარჯები	-	2
სხვა	35	2
სულ	35	14

2018 წლის 27 თებერვალს კომპანიამ შეისყიდა არამატერიალური აქტივი ღირებულებით 35 ლარი, ეს არამატერიალური აქტივი წარმოადგენდა სესხების აღრიცხვის პროგრამას, თუმცა კომპანიამ ვერ შეძლო ამ პროგრამის დანერგვა და გამოყენება, კომპანიას შეეზღუდა წვდომა პროგრამაზე მისი გამყიდველის მხრიდან, შესაბამისად წლის განმვლობაში არამატერიალურ აქტივში გადახდილი თანხა წარმოადგენს კომპანიის ხარჯს.

17. მოგების გადასახადი

კომპანიის პერიოდის მოგების გადასახადი შედგება:

	2018	2017
გადავადებული მოგების გადასახადის მოძრაობა დროებითი	6	(1)
სხვაობის წარმოქმნით ან ამობრუნებით		
მიმდინარე მოგების გადასახადი	(5)	(8)
მოგების გადასახადის (დარიცხვა) / სარგებელი	1	(9)

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა.

მისო ჯორჯიან ფაინანსიალ კრედიტ-ჯი ეფ სი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85% * 15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში შემდეგია:

	2018	2017
მოგება დაეგვრამდე	252	(32)
მოგების გადასახადის დარიცხვა / (სარგებელი) 15%-იანი განაკვეთით	38	(5)
დაუბეგრავი შემოსავალი	55	21
გამოუქვითავი ხარჯები	(28)	(7)
ცვლილებები ანარიცხებში	(286)	(45)
ცვლილებები საგადასახადო რეგულაციაში	220	45
მოგების გადასახადის დარიცხვა / (სარგებელი)	(1)	9

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიას დგას ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკი ქვეშ მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის მიერ გამოყენებული და ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს ნაშთის გარდა)	151	792
გაცემული სესხები	707	727
სულ	858	1,519

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

მისო ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ევ სი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

2018	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	138	13	151
კლიენტებზე გაცემული კრედიტები	596	111	707
სულ ფინანსური აქტივები	734	124	858
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	394	86	480
სხვა ვალდებულებები	6	-	6
სულ ფინანსური ვალდებულებები	400	86	486
ღია საბალანსო პოზიცია	334	38	-
2017	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	118	674	792
კლიენტებზე გაცემული კრედიტები	427	300	727
სულ ფინანსური აქტივები	545	974	1,519
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	-	1,123	1,123
სხვა ვალდებულებები	12	-	12
სულ ფინანსური ვალდებულებები	12	1,123	1,135
ღია საბალანსო პოზიცია	533	(149)	

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 30%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

აშშ დოლარის გავლენა 2018		აშშ დოლარის გავლენა 2017	
30%-იანი ზრდა	30%-იანი შემცირება	30%-იანი ზრდა	30%-იანი შემცირება
8	(8)	(30)	30

მისო ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ეფ სი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

საპროცენტო განაკვეთების რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის სესხები და ნასესხები თანხები არის ფიქსირებული, დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სულ პროცენტიანი ფინანსური აქტივები	707	727
სულ პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები	(480)	(1,123)
სულ	227	(396)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე სხვადასხვა ტიპის სესხების გაცემა.

საკრედიტო რისკისგან თავის ასარიდებლად, კომპანიას აქვს საკრედიტო სახელმძღვანელო და კომპანიის ყველა სესხი გაცივმა ამ სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს, პროცესს, სადაც ჩართულია საკრედიტო კომიტეტი, აგრეთვე იგი მონიტორინგს უწევს გაცემულ სესხებს.

კომპანია აგრეთვე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, ამგვარად ამცირებს კლიენტის გადამხდელუუნარობის შემთხვევაში საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის საფრთხე 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული და ფულის ექვივალენტები (სალაროში არსებული ნაღდი ფულის გამოკლებით)	151	792
კლიენტებზე გაცემული სესხები	707	727
სულ	858	1,519

ფინანსური აქტივები ფასდება მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომლებიც მინიჭებულია საერთაშორისოდ აღიარებული სააგენტოების: „Fitch“, „Standard & Poor’s“ და „Moody’s“ მიერ. ყველაზე მაღალი რეიტინგია AAA. საინვესტიციო ფინანსური აქტივების რეიტინგი მერყეობს AAA-დან BBB-მდე. ფინანსური აქტივები, რომლებსაც BBB-ზე ნაკლები რეიტინგი აქვთ, კლასიფიცირდება როგორც სპეკულაციური.

მისო ჯორჯიან ფაინანსიალ კრედიტ-ჯი ეფ სი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს დეტალებს ბანკების არავადაგადაცილებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგებს:

31 დეკემბერი, 2018	<A	BBB	BB	<BB	B	შეფასების გარეშე	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	-	-	151	-	-	-	151
გაცემული სესხები	-	-	-	-	-	707	707
31 დეკემბერი, 2017	<A	BBB	BB	<BB	B	შეფასების გარეშე	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	-	-	792	-	-	-	792
გაცემული სესხები	-	-	-	-	-	727	727

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირი თანხის ფულად ნაკადებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები		
კლიენტებზე გაცემული სესხები	707	707
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	707	707
ფული და ფულის ეკვივალენტები	151	151
სულ ფინანსური აქტივები	858	858
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	480	1,123
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	480	480
სხვა ვალდებულებები	6	6
სულ ფინანსური ვალდებულებები	486	486
ლიკვიდურობის გარღვევა	372	
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	372	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	227	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	227	

მისო ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ-ჯი ეფ სი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირითადი თანხის ფულად ნაკადებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,167	60	1,227
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	1,167	60	1,227
ფული და ფულის ექვივალენტები	241	-	241
სულ ფინანსური აქტივები	1,408	60	1,468
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	1,088	-	1,088
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	1,088	-	1,088
სხვა ვალდებულებები	9	-	9
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,097	-	1,097
ლიკვიდურობის გარღვევა	311	60	
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	311	371	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	79	60	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	79	139	

კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს გამოცემულ კაპიტალს, დაგროვილ ზარალს და ვალს.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესანარჩუნებლად ნასესხები საშუალებებისგან თავის არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას, ახალი აქციების გამოცემას.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანას არ ჰქონია ვალდებულა დაწესებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გონივრული კუოფიციენტების დაცვის. 2018 წლის სექტემბრიდან გარკვეული კოეფიციენტები დაწესდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ეროვნული ბანკის მიერ. ამ ანგარიშგების გამშვების დღისთვის კომპანია მართავს თავის კაპიტალს სესხის და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტით, რომელიც არის შემდეგი:

	2018	2017
სულ ვალდებულებები	486	1,135
გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტები	(151)	(792)
წმინდა სესხი		
სულ კაპიტალი	392	393

სესხის კაპიტალთან თანაფარდონის კოეფიციენტი 31 დეკემბრის მდგომარეობით	0.86	0.87
---	------	------

19. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მფლობელები, ძირითადი მენეჯმენტი, კომპანიის სხვა მფლობელების საკუთრებაში არსებული სხვა კომპანიები. შემენა და მიყიდვა დაკავშირებული მხარეებიდან და მათზე ხორციელდება იმ პირობების ექვივალენტი პირობებით, რაც უპირატესია დამოუკიდებელ მხარეებს შორის დადებულ ტრანზაქციებში. კომპანიას არ აღურიცხია დებიტორული დავალიანებების გაუფასურება, იმ თანხებთან დაკავშირებით, რასაც დაკავშირებული მხარეები ფლობენ. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს დაკავშირებული მხარის ფინანსური მდგომარეობის და იმ ბაზრების გამოკვლევით,

2018			2017	
ურთიერთობა	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად
ერტი საპროცენტო ხარჯები	მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	(99)	(99)	(179)
			(179)	(179)

სადაც ფუნქციონირებს დაკავშირებული მხარე. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:

2018			2017	
ურთიერთობა	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი ფინანსური ანგარიშის თანახმად	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი ფინანსური ანგარიშის თანახმად
მენეჯმენტის ძირითადი პერსონალის კომპენსაცია:	(10)	(74)	(11)	(18)
მენეჯმენტის ძირითადი პერსონალის კომპენსაცია:	(10)		(11)	
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:				

დეკემბერი 31, 2018			დეკემბერი 31, 2017	
ურთიერთობა	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები
ნასესხები თანხები, სულ	480	480	1,123	1,123
ერტი მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	480	-	1,123	-

20. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღნიშნულია კომპანიის მიერ სათანადოდ.

კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს, მაგრამ მიჩნეულია, რომ კომპანია არ დაექვემდებარება მნიშვნელოვან საჩივრებს, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე არსებითი გავლენა ექნება.

სამართალწარმოება კომპანია ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ასეთი ვალდებულების წარმოქმნას არ ექნება ნეგატიური ეფექტი სამომავლო ფინანსურ მდგომარეობასა ან ოპერაციების შედეგებზე. საგადასახადო შეღავათები საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და, შესაბამისად, ხშირად ხდება კანონში, ოფიციალურ განცხადებებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხშირად არის გაურკვეველი, წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა სახით ინტერპრეტირებული. საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო წელი რჩება ღიად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც საგადასახადო წელი შესაძლოა იყოს ღია უფრო მეტი დროითაც. ამ გარემოებამ შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ის ასრულებს საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც ემყარება მის ინტერპრეტაციას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი უფლებამოსილი პირების ინტერპრეტაცია შესაძლოა იყოს განსხვავებული, რამაც შესაძლოა, მოახდინოს ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირები შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის შემუშავებას. საოპერაციო გარემო განვითარებადი ბაზრები საქართველოში ექვემდებარებიან რისკებს, რომლებიც არის განსხვავებული სხვა განვითარებადი ბაზრებისგან; ბაზრები დგას ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ლეგალური და სამართლებრივი რისკების წინაშე. კანონები და რეგულაციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საქართველოში მოქმედ ბიზნესებზე განაგრძობს სწრაფ განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი მიმართულებით. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო გეგმას წარმოადგენს მთავრობის მიერ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებით ზეგავლენის მოხდენა, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალი. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ შეიმუშავა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 14 ივნისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი ჯი-ეფ-სი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი ჯი-ეფ-სი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა პირობითი მოსაზრებით 2019 წლის 14 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 14 ივნისის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგვიტარებია მმართველობის ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 14 ივნისს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

25 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი ჯი-ეფ-სი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი ჯი-ეფ-სი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა პირობითი მოსაზრებით 2019 წლის 14 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 14 ივნისის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია მმართველობის ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 14 ივნისს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

25 სექტემბერი 2019, თბილისი, საქართველო





შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი -ჯი ეფ სი

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი - ჯი ეფ სი მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ- ჯი ეფ სი“ იურიდიული მისამართია: გამრეკელის 2 ამავე მისამართზე მდებარეობს კომპანიის სათაო ოფისიც. კომპანიას ამ ეტაპზე ფილიალები არ აქვს. დღეის მდგომარეობით კომპანია მომხმარებელს სთავაზობს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სამომხმარებლო და ბიზნეს სესხებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, უძრავი და სატრანსპორტო საშუალებების იპოთეკა/გირავნობით.

არსებულ პროდუქტებზე პირობები და საპროცენტო განაკვეთები შემდეგნაირია:

- იპოთეკური სესხი

ფიზიკური პირებისთვის

წლიური - 30%-დან

10 0000 დან 100 000 ლარამდე

ვადა სამი თვიდან 5 წლამდე

სესხის ვალუტა ლარი

იურიდიული პირებისთვის

წლიური - 30%-დან

10 0000 დან 100 000 ლარამდე

ვადა სამი თვიდან 5 წლამდე

სესხის ვალუტა ლარი

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი - ჯი ეფ სიშეიქმნა 2013 წელს დამასშემდეგ, მთელი საქართველოს მასშტაბით, წარმატებით ახორციელებს ონლაინ სესხების გაცემას. კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია 0-2532030-0, 10181898, , იოსი რაიკ, ისრაელი; ხოლო თანაბრად 25%-25% პროცენტებს ფლობენ 0-2775162-7, 15026943, , გაი იაკოვ ცადიკ და 0-2789958-2, 12767867, , იუვალ მენახემი ბენერაფ, ისრაელი

კომპანია ორიენტირებულია სერვისის სისწრაფესა და უსაფრთხოებაზე, რაც მთავარი ფაქტორია მომხმარებელთა ნდობისა და წარმატების მოპოვებისათვის. ამასთან, კომპანია ისწრაფის დანერგოს ინოვაციური ინფრასტრუქტურა და მაქსიმალურად აუწყოს ფეხი ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალ და მზარდ ტენდენციებს, რაც მიზნად ისახავს მომხმარებელთათვის მაქსიმალურად გამარტივებული და ეფექტური სერვისის შეთავაზებას.

სამომავლო გეგმები

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზა ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი- ჯი ეფ სი“ სესხების პორტფელის ზრდის მიზნით აქტიურად იკვლევს ბაზარს და განიხილავს ახალი პროდუქტების შეთავაზებას.

რისკ-ფაქტორები

ლარიზაციის კანონის მიღების შემდეგ კომერციულმა ბანკებმა ეროვნული ბანკის დავალებით შეაჩერეს სესხების გაცემა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე.

როგორც მოგეხსენებათ ლარიზაციით აიკრძალა 100 000 ლარამდე სესხების გაცემა უცხოურ ვალუტაში. 100 000 ლარამდე მსესხებლები სწორედ ის სეგმენტია, რომელიც ყველაზე მტკივნეულად რეაგირებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე, თან ასე მკვეთრ ცვლილებაზე რომელიც ზემოთ არის აღნიშნული. ასევე მტკივნეული პროცესია საწესდებო კაპიტალის შევსების ის მოთხოვნები, რაც ძალაში შევიდა 2019 წლის იანვრიდან, თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარმატებით მოხდა საწესდებო კაპიტალის შევსება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამდენი წლის ბაზარზე ფუნქციონირების მიუხედავად არც ერთი ზემოთხსენებული შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა, პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციაზე და არსებით დეტალებზე მირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა.

შპს „ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი - ჯი ეფ სი“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მსგავსი შემთხვევა არ გამოვლენილა ჩვენი საქმიანობის ხანმოკლე პერიოდის მანძილზე.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინებიან დირექტორები 0-2775162-7, 15026943, , გაი იაკოვ ცადიკ, ისრაელი და 01024012815 ბადრი პაიჭაძე საქართველო. კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორებს. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი - ჯი ეფ სი“ დასაქმებულია დაახლოებით 6 თანამშრომელი. კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური

ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი - ჯიეფსი“ მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტი - ჯი ეფ სი“ მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

ბადრი პაიჭაძე